

მცირე ბიზნესის მხარდაჭერი პროექტი  
SUPPORTING PROJECT FOR SMALL BUSINESS

საქართველოს ანონის პროექტი  
მცირე ბიზნესის შესახებ

GEORGIAN DRAFT LAW  
**ON SMALL BUSINESS**



თბილისი 2008 TBILISI



## საქართველოს კანონი

## მცირე ბიზნესის შესახებ

## თავი I

## ზოგადი დებულებები

**მუხლი 1. კანონმდებლობა მცირე ბიზნესის შესახებ**

მცირე ბიზნესის შესახებ საქართველოს კანონმდებლობა შედგება საქართველოს კონსტიტუციის, საერთაშორისო ხელშეკრულებებისა და შეთანხმებების, ამ კანონისა და კანონქვემდებარე ნორმატიული აქტებისაგან.

**მუხლი 2. ტერმინთა განმარტება**

1. კანონში გამოყენებულ ტერმინებს აქვთ შემდეგი მნიშვნელობა:

ა) **მცირე ბიზნესი** – ეკონომიკური საქმიანობა, რომელიც ხორციელდება მცირე ან მიკრო საწარმოს მიერ;

ბ) **მცირე საწარმო** – “მეწარმეთა შესახებ” საქართველოს კანონის საფუძველზე შექმნილი საწარმო, გარდა სააქციო საზოგადოებისა, რომლის ბრუნვა ქალენდარული წლის განმავლობაში არ აღემატება 2 მილიონ ლარს. ამასთან ამ საწარმოს საქმიანობა არ უნდა იყოს საბანკო, სადაზღვევო და სხვა სახის ფინანსური, საადვოკატო მომსახურება და არ უნდა აწარმოებდეს აქციზურ საქონელს, არ უნდა ეწოდეს ტატარიების ორგანიზებას და მოღვაწეობდეს სათამაშო ბიზნესის სფეროში. ამასთან, საწარმოს კაპიტალში წილს არ უნდა ფლობდეს პირი, რომელიც არ აკმაყოფილებს მცირე საწარმოსთვის ამ კანონით დადგენილ სტანდარტებს.

გ) **მიკრო საწარმო** – “მეწარმეთა შესახებ” საქართველოს კანონის საფუძველზე შექმნილი საწარმო, გარდა სააქციო საზოგადოებისა, რომლის ბრუნვა ქალენდარული წლის განმავლობაში არ აღემატება 300 ათას ლარს. ამასთან ამ საწარმოს საქმიანობა არ უნდა იყოს საბანკო, სადაზღვევო და სხვა სახის ფინანსური, საადვოკატო მომსახურება და არ უნდა აწარმოებდეს აქციზურ საქონელს, არ უნდა ეწოდეს ტატარიების ორგანიზებას და მოღვაწეობდეს სათამაშო ბიზნესის სფეროში. ამასთან, საწარმოს კაპიტალში წილს არ უნდა ფლობდეს პირი, რომელიც არ აკმაყოფილებს მცირე საწარმოსთვის ამ კანონით დადგენილ სტანდარტებს.

დ) **წლიური ბრუნვა** – ამ კანონის მიზნებიდან გამომდინარე მცირე საწარმოს მიერ გასული ქალენდარული წლის განმავლობაში მიღებული შემოსავლების ერთობლიობა;

ე) **სუბსიდია** – ფულადი კომპენსაცია, რასაც ამ კანონის მიზნებიდან გამომდინარე ადმინისტრაცია კომპენსაციის სახით გადაუხდის კომერციულ ბანკს მცირე მეწარმეებზე უპროცენტო ან შეღავათიანი სესხების გაცემის შემთხვევაში;

ვ) **მცირე ბიზნესის ადმინისტრაცია** – ამ კანონის საფუძველზე შექმნილი საჯარო სამართლის იურიდიული პირი, რომელიც კოორდინაციას უწევს მცირე ბიზნესის განვითარების სახელმწიფო პოლიტიკას.

ზ) **მიკრო სესხი** – ფიქსირებული პროცენტის სესხი, რომლის მოცულობაც არ აღემატება 40 ათას ლარს და რომელსაც ამ კანონის მიზნებიდან გამომდინარე გასცემს შუამავალი ორგანიზაცია ბიზნესის წამოწყების ან ახლად დაფუძნებული მცირე საწარმოს განვითარებისთვის.

თ) **შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა მფლობელობაში არსებული მცირე საწარმო** – საწარმო, რომელიც აკმაყოფილებს ამ კანონით დადგენილ მცირე

საწარმოს სტანდარტებს და რომლის კაპიტალის 51 პროცენტზე მეტი ეკუთვნის შებენიერი შესაძლებლობების მქონე პირს ან ასეთ პირთა ჯგუფს.

ი) ბიზნეს შესაძლებლობათა სპეციალისტი – ადმინისტრაციის თანამშრომელი, რომელიც აფასებს წარმოდგენილ ბიზნეს-წინადადებებს და დადგენილი ფორმით თავის დასკვნას წარუდგენს საბჭოს.

კ) შუამავალი ორგანიზაცია – “კომერციული ბანკების შესახებ” და “მიკროსაფინანსო ორგანიზაციების შესახებ” საქართველოს კანონების შესაბამისად დაფუძნებული ორგანიზაცია, რომელმაც გაიმარჯვა მცირე ბიზნესის ადმინისტრაციის მიერ გამოცხადებულ ტენდერში და მოიპოვა უფლება მცირე ბიზნესის დაკრედიტების მოზიდული რესურსების განაწილებაზე.

### მუხლი 3. კანონის მიზნები

1. კანონი ემსახურება, ბაზარზე თავისუფალი შეღწევის და თავისუფალი კონკურენციის პრინციპების დაცვით, ქვეყანაში მცირე ბიზნესის განვითარებას იმ მიზნით, რომ:

ა) ხელი შეეწყოს ბიზნესს ახალი სამუშაო ადგილების შექმნისათვის;

ბ) ამალღდეს მცირე მეწარმეთა კონკურენტუნარიანობა;

გ) გაიზარდოს მცირე საწარმოთა საქსპორტო პოტენციალი;

დ) გაუმჯობესდეს მცირე მეწარმეთა მიერ შექმნილი პროდუქციისა და მომსახურების ხარისხი, რათა მათ შეძლონ საერთაშორისო ბაზრებზე გასვლა;

ე) მცირე მეწარმეები აქტიურად ჩაერთონ სახელმწიფო შესყიდვებისა და პრივატიზაციის პროცესში;

ვ) მცირე მეწარმეთა ინტერესები იყოს სათანადო დონეზე დაცული სახელმწიფოს მიერ ორმხრივი თუ მრავალმხრივი საერთაშორისო ხელშეკრულებების შედგენისას, განსაკუთრებით ვაჭრობის სფეროში;

ზ) ხელი შეეწყოს საქართველოს ეკონომიკის განვითარებას და შესაბამისად ქვეყნის ეკონომიკური უსაფრთხოების უზრუნველყოფას მცირე ბიზნესის პოტენციალის მაქსიმალური ამოქმედებით.

თ) წახალისდეს სოციალურად დაუცველი მოქალაქეების ჩართვა ბიზნესში.

ი) მცირე მეწარმეთა კვალიფიკაციის ამაღლება ბაზრის მოთხოვნებთან უკეთ ადაპტირების მიზნით.

### თავი II

#### მცირე ბიზნესის ადმინისტრაცია

### მუხლი 4. ადმინისტრაციის სამართლებრივი სტატუსი

1. მცირე ბიზნესის განვითარებისა და მხარდაჭერის სახელმწიფო პოლიტიკის შემუშავებისა და განხორციელების მიზნით იქმნება მცირე ბიზნესის ადმინისტრაცია (შემდგომში ადმინისტრაცია).

2. ადმინისტრაცია არის საქართველოს კანონმდებლობის მიხედვით შექმნილი საჯარო სამართლის იურიდიული პირი, რომელიც ფლობს სახელმწიფო ქონებას, მოქმედებს როგორც საჯარო, ისე საერთაშორისო დაფინანსებით და კერძო შემოწირულობებით.

3. ადმინისტრაციის საქმიანობის კონტროლს ახორციელებს საქართველოს მთავრობა.

4. ადმინისტრაციას გააჩნია ცენტრალური და რეგიონული ოფისები. რეგიონალური ოფისები იქმნება, როგორც ადმინისტრაციის წარმომადგენლობები მოცემულ ტერიტორიულ ერთეულებში, სახელწოდებით “მცირე ბიზნესის განვითარების ცენტრები”.

**მუხლი 5. ადმინისტრაციის მართვა**

1. ადმინისტრაციის ხელმძღვანელი ორგანოა მმართველი საბჭო (შემდგომში საბჭო), რომელიც შედგება 7 წევრისაგან.
2. საბჭოს წევრთა შემადგენლობას 4 წლის ვადით ამტკიცებს საქართველოს პარლამენტი, რომელთაგან:
  - ა) 2 წევრს წარადგენს საქართველოს პრეზიდენტი, 2 წევრს წარადგენს საქართველოს მთავრობა, 1 წევრს საქართველოს ეროვნული ბანკი, ხოლო დანარჩენ 2 წევრს წარადგენენ საქართველოს პარლამენტის საფინანსო საბიუჯეტო კომიტეტი და ეკონომიკური პოლიტიკისა და დარგობრივი ეკონომიკის კომიტეტი;
3. საქართველოს პრემიერ-მინისტრი საბჭოს უფლებამოსილების ვადის გასვლამდე 50 დღით ადრე აცხადებს საბჭოს წევრთა კანდიდატების წარდგენის პროცედურებს.
4. წარდგენილი კანდიდატების სია ქვეყდება, რომელსაც მთავრობა გადასცემს საქართველოს პარლამენტს.
5. კანდიდატურათა შერჩევიდან 10 დღის ვადაში საქართველოს პარლამენტი 1/3-ის თანხმობით ამტკიცებს საბჭოს შემადგენლობას, ხოლო თუ აღნიშნული დრო ემთხვევა არასასესიო პერიოდს, საკითხი კენჭისყრაზე დადგება პარლამენტის სხდომათა განახლებიდან არაუგვიანეს მეორე სასესიო კვირისა;
6. იმ შემთხვევაში თუ სხვადასხვა მიზეზის გამო ვერ მოხერხდა კანდიდატურების შერჩევა, ან პარლამენტმა არ დაამტკიცა საბჭოს წარდგენილი შემადგენლობა, 1 თვის ვადაში პრემიერ მინისტრი აცხადებს ხელახალ პროცედურას.
7. საბჭოს წევრს წევრობის გარდა შესაძლებელია დაეკისროს დამატებითი ფუნქცია ადმინისტრაციაში. მას ეძლევა ჰონორარი ამ კანონით გათვალისწინებული ფუნქციების შესრულებისთვის;
8. პარლამენტის წევრთა ერთ მეხუთედს უფლება აქვს სათანადო საფუძვლის არსებობისას დააყენოს საბჭოს უნდობლობის საკითხი, რაც წერილობით უნდა წარედგინოს პარლამენტის ბიუროს, რომელიც 20 კალენდარულ დღეში საკითხს კენჭისყრისთვის გაიტანს პლენარულ სესიაზე. 1/3-ის თანხმობა საკმარისია საბჭოს უფლებამოსილების შეწყვეტისთვის. ახალი შემადგენლობის დამტკიცებამდე საბჭო აგრძელებს უფლებამოსილების განხორციელებას;
9. საბჭოს წევრის უფლებამოსილების ვადაზე ადრე შეწყვეტის საფუძველია:
  - ა) პირადი განცხადება;
  - ბ) გარდაცვალება;
  - გ) სასამართლოს მიერ ქმედუნაროდ აღიარება;
  - დ) სასამართლოს გამამტყუნებელი განაჩენის ძალაში შესვლა;
  - ე) საბჭოს წევრობასთან შეუთავსებელი თანამდებობის დაკავება;
  - ვ) კანონმდებლობით დადგენილი სხვა შემთხვევა.
10. საბჭოს წევრის გამოკლებების შემთხვევაში ახალი წევრის წარდგენის ვალდებულება ეკისრება იმ სუბიექტს, ვის მიერაც იყო წარდგენილი საბჭოს გამოკლებული წევრი. წევრის დამტკიცება ხდება პარლამენტის მიერ საბჭოს დამტკიცების წესის შესაბამისად;
11. საბჭო შეიმუშავებს ადმინისტრაციის საქმიანობის ძირითად მიმართულებებს, ადმინისტრაციის ბიუჯეტს, ყოველწლიურ პროგრამას, იღებს გადაწყვეტილებებს ტენდერების შესახებ, ზედამხედველობას უწევს ადმინისტრაციის ყოველდღიურ საქმიანობას;
12. საბჭო თავის შემადგენლობიდან 4 წლის ვადით ირჩევს ადმინისტრაციის უფროსს (შემდგომში ადმინისტრატორი), რომელიც საერთო კოორდინაციას უწევს

ადმინისტრაციის საქმიანობის ორგანიზაციულ, საჯარო და სხვა საკითხებს. იგი უნდა იყოს საზოგადოებაში მაღალი რეპუტაციის მქონე, მაღალი ევალუაციის მქონე პირი, რომელიც ჯარგად ფლობს ინფორმაციას მცირე ბიზნესის სფეროში საერთაშორისო გამოცდილებაზე, ქვეყანაში არსებულ მდგომარეობაზე, მცირე ბიზნესის საჭიროებებსა და პრობლემებზე.

13. ადმინისტრატორს არ შეიძლება ეკავოს სხვა რაიმე თანამდებობა და ეწოდეს სხვა საქმიანობას, გარდა სამეცნიერო, პედაგოგიური და შემოქმედებითი მოღვაწეობისა;
14. ერთი და იგივე პირი არ შეიძლება იყოს არჩეული ადმინისტრაციის უფროსად ზედიზედ 2-ზე მეტი ვადით.
15. ადმინისტრაციის საქმიანობის პრინციპები, ადმინისტრატორის არჩევის წესი, საბჭოს მიერ გადაწყვეტილებების მიღების პროცედურა, ადმინისტრატორის უფლება-მოვალეობანი და სხვა ორგანიზაციული საკითხები რეგულირდება საქართველოს მთავრობის მიერ დამტკიცებული ადმინისტრაციის დებულებით.
16. ადმინისტრატორის ან საბჭოს წევრის მიერ უფლებამოსილების არასწორად გამოყენების, გადაცდომის ან რაიმე სახის ჯანონდარღვევის შემთხვევაში პასუხისმგებლობა განისაზღვრება საქართველოს მოქმედი ჯანონმდებლობით;

## მუხლი 6. ადმინისტრაციის ფუნქციები

ადმინისტრაციის ფუნქციებია:

- ა) მცირე ბიზნესის მხარდამჭერი პოლიტიკის შემუშავება, დამტკიცებული პროგრამებით გათვალისწინებული ტონისძიებების განხორციელება და კოორდინაცია;
- ბ) ყოველკვარტალური და წლიური ანგარიშების მომზადება და გამოქვეყნება, რაც უნდა ასახავდეს მონაცემებს მცირე ბიზნესის სფეროში მოცემულ პერიოდში:
  1. შექმნილი სამუშაო ადგილების შესახებ
  2. შემცირებული სამუშაო ადგილების შესახებ
  3. შექმნილი ახალი საწარმოების შესახებ
  4. ჩავარდნილი პროექტების შესახებ (დახურული საწარმოები)
  5. გაყიდვების (ბრუნვის) მოცულობის შესახებ
  6. ინფორმაცია დაყოფილი დარგების შესაბამისად
  7. შეუსრულებელი შეკვეთების შესახებ
  8. განხორციელებული ინვესტიციების შესახებ, მათ შორის კაპიტალური დაბანდებებისა და სესხების თაობაზე
  9. გამოშვებული აქციების (ფასიანი ქაღალდების) შესახებ
  10. ექსპორტზე გატანილი საქონლისა და მომსახურების შესახებ
  11. შერწყმული და დანაწევრებული კომპანიების შესახებ, გამოსახული რაოდენობასა და ფულად მოცულობებში
  12. სხვა დამატებითი რელევანტური ინფორმაციის შესახებ.
- გ) მცირე ბიზნესის სფეროში არსებულ მონაცემთა ბაზის, ცენტრალიზებული რეგისტრის შექმნა და პოტენციური ინვესტორების საინფორმაციო უზრუნველყოფა. ეს საქმიანობა ხორციელდება სტატისტიკის დეპარტამენტთან ერთად;
- დ) საჭიროების შემთხვევაში, თვით ამ საწარმოს თანხმობითა და ჯანონმდებლობით დაშვებული სხვა ფორმით დაინტერესებული პირებისთვის ინფორმაციის წარდგენა თითოეული საწარმოს მდგომარეობის შესახებ, მათ შორის საკრედიტო ისტორია, ბიზნესის წარმოებასთან დაკავშირებული სხვა მონაცემები;
- ე) მცირე ბიზნესის განვითარებისთვის საჭირო რეკომენდაციებისა და საჯანონმდებლო წინადადებების შემუშავება და მთავრობისთვის წარდგენა;

- ვ) მთავრობასა და პარლამენტში ინიცირებული ყველა კანონპროექტის ანალიზი და დასჯვნების მომზადება მცირე ბიზნესის ინტერესების დაცვის მიზნით;
- ზ) მცირე ბიზნესის დაფუძნების ხელშეწყობის მიზნით სახელმწიფო და კერძო დაფინანსების მოძიება და იმპლემენტირების უზრუნველყოფა;
- თ) მცირე ბიზნესში დასაქმებულთათვის სწავლების, ტრენინგებისა და სემინარების ორგანიზება უკლიფიკაციის ამაღლებისა და ბაზრის მოთხოვნებთან სწორად ადაპტირების მიზნით;
- ი) მცირე საწარმოთა საინფორმაციო და საკონსულტაციო მომსახურება;
- კ) მცირე ბიზნესთან დაკავშირებით ბაზრების უწყვეტებისა და სხვა ანალიტიკური საქმიანობის ინიცირება და ფინანსური მხარდაჭერა;
- ლ) დასაქმების ამაღლების მიზნით მცირე ბიზნესის განვითარების სტიმულირების სხვა ღონისძიებათა განხორციელება.

### **მუხლი 7. ადმინისტრაციის ვალდებულებები**

ადმინისტრაცია ვალდებულია:

1. საქმიანობის განხორციელებისას იხელმძღვანელოს მაქსიმალურად გამჭვირვალობისა და საჯაროობის პრინციპით, ურთიერთობისას დაიცვას საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის, საქართველოს საგადასახო კოდექსისა და სხვა საკანონმდებლო აქტების მოთხოვნები;
2. დროულად გამოაქვეყნოს და გაავრცელოს ინფორმაცია ადმინისტრაციის მიერ დაგეგმილი პროექტებისა და ღონისძიებების შესახებ, მოთხოვნის შემთხვევაში ყველა დაინტერესებულ პირს მიაწოდოს ამომწურავი ინფორმაცია ადმინისტრაციის საქმიანობაზე;
3. უზრუნველყოს თითოეული მეწარმე სუბიექტის თანასწორობა კანონის წინაშე და არ დაუშვას რაიმე სახის დისკრიმინაცია ეთნიკური, პოლიტიკური, რელიგიური თუ სხვა ნიშნით;
4. იზრუნოს მოზიდული სახსრების მაქსიმალურად სარგებლიანი გამოყენებისთვის, რათა მის მიერ მიღებული ყოველი გადაწყვეტილება ემსახურობდეს ამ კანონის მიზნებს.

### **მუხლი 8. ინფორმაციის ხელმისაწვდომობა**

ადმინისტრაცია უფლებამოსილია მიიღოს დეტალური ინფორმაცია ფინანსთა სამინისტროს შესაბამისი უწყებებისგან მცირე საწარმოთა შესახებ: მათ მიერ გადახდილი გადასახადების, დასაქმებულთა რაოდენობის, იმპორტ-ექსპორტსა თუ სხვა საკითხებზე.

### **მუხლი 9. თანამშრომლობის უზრუნველყოფა**

ამ ფუნქციების შესრულების მიზნით ადმინისტრაცია თანამშრომლობს საქართველოს ფინანსთა სამინისტროსთან, საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროსთან, საქართველოს ეროვნულ ბანკთან, შუამავალ ორგანიზაციებთან, ადგილობრივ და საერთაშორისო ინსტიტუტებთან, შესაბამის სამოქალაქო ორგანიზაციებთან და პროფკავშირებთან.

### **მუხლი 10. დაფინანსების წყარო**

დაკისრებულ ფუნქციათა სათანადოდ შესრულების მიზნით ადმინისტრაციას გადაეცემა სახელმწიფო ქონება და სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილი დაფინანსება.

## თავი III

## მცირე ბიზნესის მხარდაჭერის განხორციელება

**მუხლი 11. მხარდაჭერის ფორმები**

1. ამ კანონის მიზნებიდან გამომდინარე მცირე ბიზნესის დაფუძნებისა და განვითარების ხელშეწყობა ხორციელდება:

ა) ფინანსური სახსრების მოზიდვით, სესხების (მიკრო სესხების) გასაცემად ბიზნესის დაწყებისა და განვითარებისათვის საშუაშალო ორგანიზაციების მეშვეობით;

ბ) მცირე ბიზნესის წარმომადგენლებისათვის საინფორმაციო საკონსულტაციო მომსახურების გაწევით;

გ) მენეჯერული უკალიფიკაციის ამაღლებისა და გადამზადების, ბიზნეს-გეგმების შედგენის, მარკეტინგული სტრატეგიების შემუშავების შესახებ ტრენინგების, სწავლებებისა და სემინარების მოწყობით მცირე ბიზნესში დასაქმებული პირებისათვის;

დ) მცირე ბიზნესის ოპერირებისათვის საჭირო ინფრასტრუქტურის განვითარებით.

**მუხლი 12. ფინანსების წარმომავლობა**

1. აღნიშნულ ღონისძიებებს ადმინისტრაცია ახორციელებს ფინანსური საშუალებებით, რომელიც შედგება:

ა) დამტკიცებული სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში გამოყოფილი საბიუჯეტო სახსრებისაგან;

ბ) ფიზიკური და იურიდიული პირების, ასევე საერთაშორისო ორგანიზაციების მიერ გამოყოფილი გრანტებისა და შემოწირულობებისაგან;

გ) კანონმდებლობით ნებადართული სხვა შემოსავლებისაგან.

**მუხლი 13. ადმინისტრაციის დაფინანსება სახელმწიფო ბიუჯეტიდან**

1. საბიუჯეტო ასიგნების მოცულობა დგინდება ადმინისტრაციის მიერ წარდგენილი პროგრამის საფუძველზე სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ ყოველწლიური კანონით;

2. მომდევნო წლის პროგრამას ადმინისტრაცია საქართველოს ფინანსთა სამინისტროს წარუდგენს ყოველი კალენდარული წლის 1 მაისამდე;

3. სახელმწიფო პროგრამაში გათვალისწინებული უნდა იყოს სახსრები მცირე საწარმოთათვის კომერციული ბანკების საშუალებით სესხების გასაცემად, ასევე ადმინისტრაციის ფუნქციონირების ხარჯების გასაწევად, საკონსულტაციო საქმიანობისა და სასწავლო პროგრამების უზრუნველყოფის ჩათვლით.

4. სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ ყოველწლიური კანონით დამტკიცებული ხარჯების მთლიანი ასიგნებების 2 პროცენტი პროცენტი მიიმართება მცირე ბიზნესის ადმინისტრაციის საქმიანობის დასაფინანსებლად, რაც აისახება სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ ყოველწლიურ კანონში.

**მუხლი 14. ბიზნესის დაკრედიტება შუამავალი ორგანიზაციების მეშვეობით**

1. ადმინისტრაციის მიერ მოზიდული ფინანსური სახსრების განთავსება კერძო საწარმოებში ხორციელდება შუამავალი ორგანიზაციების მეშვეობით, მცირე საწარმოების მიერ შემუშავებული ბიზნეს გეგმების საფუძველზე;

2. ადმინისტრაცია მცირე ბიზნესის მხარდასაჭერად მოზიდული სახსრების შუამავალ ორგანიზაციებში განთავსების მიზნით აცხადებს ტენდერს “სახელმწიფო

შესყიდვების შესახებ” საქართველოს კანონის შესაბამისად. ტენდერში მონაწილე სუბიექტებიდან იგი შეარჩევს 3 საუკეთესო წინადადებას, რომელთაგან პირველს გადაეცემა სახსრების 50 პროცენტი, ხოლო მეორესა და მესამეს 30 და 20 პროცენტის ოდენობით შესაბამისად. აღნიშნული ასიგნებების სულ მცირე 30 პროცენტი მიიმართება დამწყები საწარმოების დასაფინანსებლად, თუ ასეთი განაცხადები იქნება წარმოდგენილი;

3. გამარჯვებულთა გამოვლენისას ადმინისტრაცია მხედველობაში იღებს ორგანიზაციის მიერ შეთავაზებულ საპროცენტო განაკვეთებს, ქვეყნის ტერიტორიის დაფარვის ზონას და სხვა კრიტერიუმებს, რაც ხელს შეუწყობს მცირე საწარმოთა განვითარებას;
4. ადმინისტრაცია გამარჯვებულ კომერციულ ბანკებთან და მიკროსაფინანსო ორგანიზაციებთან თანამშრომლობით შეიმუშავებს საწარმოების მიერ ბიზნეს-გეგმების შედგენის ძირითად სტანდარტებს და აქვეყნებს მას;
5. თუ ყოველწლიური პროგრამა ითვალისწინებს, შესაძლებელია შუამავალმა ორგანიზაციებმა გასცენ უპროცენტო ან დაბალპროცენტო სესხები ადმინისტრაციის გარანტიის ქვეშ. აღნიშნული ნორმა მოქმედებს მიკრო-სესხების გაცემისას, განსაკუთრებით შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა მფლობელობაში არსებულ მცირე საწარმოებთან მიმართებაში.
6. შუამავალი ორგანიზაციების მიერ დადგენილი განაკვეთები განისაზღვრება მათ მიერ წარდგენილი სატენდერო განაცხადებით, რაც შემდგომში აისახება ადმინისტრაციასთან დადებულ თანამშრომლობის შესახებ ხელშეკრულებაში.

## მუხლი 15. საქმიანობის ფორმები

1. საქმიანობის წარმართვისას ადმინისტრაცია:

- ა) აქვეყნებს ინფორმაციას მცირე ბიზნესის მხარდაჭერი პროექტების, პროგრამების, ტენდერების, გამარჯვებული კომერციული შუამავალი ორგანიზაციებისა და სასწავლო კურსების შესახებ;
- ბ) კონსულტაციას უწევს და აწვდის ყვალთფიციურ ინფორმაციას მცირე ბიზნესში დასაქმებულ პირებს მათთვის საჭირო საკითხებზე;
- გ) ორგანიზებას უწევს ტრენინგების, სწავლებებისა და სემინარების მოწყობას მცირე ბიზნესით დაკავებული პირებისათვის მათი მენეჯერული ყვალთფიციის ამაღლებისა და გადამზადების მიზნით;
- დ) აწარმოებს მცირე ბიზნესის სფეროს ყვლევას და შესწავლას, რათა შემდგომი პროექტების შემუშავებისას იხელმძღვანელოს ფუნდამენტური ანალიტიკური ინფორმაციით.

## მუხლი 16. ბიზნეს-გეგმის წარდგენა და დაფინანსება

1. საწარმოს, რომელიც აკმაყოფილებს ამ კანონით დადგენილ სტანდარტებს, უფლება აქვს მიმართოს ადმინისტრაციას ან ტენდერში გამარჯვებულ საშუამავლო ორგანიზაციებს კონკრეტული ბიზნეს გეგმით;
2. ბიზნეს გეგმა შესაძლებელია ეხებოდეს როგორც ახალი საწარმოს დაფუძნებას, ისე არსებულის განვითარებას;
3. ბიზნეს გეგმა შესაძლებელია ითვალისწინებდეს საქმიანობის სრულ ან ნაწილობრივ დაფინანსებას;
4. ბიზნეს გეგმაში ნათლად უნდა იყოს ჩამოყალიბებული ყველა ის კომპონენტი, რომელიც დაასაბუთებს მოსალოდნელ დადებით შედეგებს და სახსრების ხარჯვის რაციონალურობასა და საჭიროებას დადგენილი ფორმის მიხედვით;

5. იმ შემთხვევაში, თუ ადმინისტრაცია (ბიზნეს შესაძლებლობების სპეციალისტი) მისთვის წარდგენილ ბიზნეს გეგმას მიიჩნევს უვალდიფიციურად, იგი რეკომენდაციას უწევს აღნიშნულ საწარმოს საშუაშაშლო ორგანიზაციის წინაშე დაფინანსების მოსაპოვებლად. აღნიშნული მიმართვა არ ავალდებულებს საშუაშაშლო ორგანიზაციას სესხის დამტკიცებას;
6. გადაწყვეტილებების მიღებისას ადმინისტრაცია (ბიზნეს შესაძლებლობების სპეციალისტი) ხელმძღვანელობს ისეთი პრინციპებით, როგორცაა დასაქმებულთა რაოდენობის ზრდა, საწარმოთა საექსპორტო პოტენციალისა და კონკურენტუნარიანობის ამაღლება, ქვეყანაში იმპორტმემცველი დარგების განვითარება, დასაქმებულთა უვალდიფიციაციის გაუმჯობესება შრომის ბაზრის მოთხოვნებთან შესაბამისობაში მოყვანის მიზნით, მენარმეობის განვითარებისათვის აუცილებელი სხვა კრიტერიუმებით. გარდა ამისა ადმინისტრაცია ითვალისწინებს საწარმოს საკრედიტო ისტორიას და ბექგრაუნდ ინფორმაციას დამფუძნებლებზე;
7. თუ საწარმო ამ კანონით დადგენილი ნორმებიდან გამომდინარე ვერ აკმაყოფილებს მცირე საწარმოს სტანდარტს, საშუაშაშლო ორგანიზაციებს არ აქვთ უფლება დაამტკიცონ სესხი ადმინისტრაციის მიერ მათზე გაცემული ასიგნებების ფარგლებში.

### **მუხლი 17. მცირე ბიზნესის დაბეგვრისა და ანგარიშგების სისტემა**

მცირე ბიზნესის განვითარების მაქსიმალური ხელშეწყობისთვის საგადასახადო კანონმდებლობით შესაძლებელია დადგინდეს დაბეგვრისა და ბუტალტრული ანგარიშგებების გამარტივებული ნორმები.

## **თავი IV**

### **დასკვნითი დებულებები**

### **მუხლი 18.**

მცირე ბიზნესის ადმინისტრაციის საქმიანობის კონტროლი და მონიტორინგი ხორციელდება საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად, სახელმწიფოს ფინანსური სახსრების ხარჯვის ნაწილში კონტროლის ჰალატის მიერ. მონიტორინგი შესაძლებელია მოითხოვონ სამოქალაქო საზოგდოების წარმომადგენლებმაც, რაც უნდა დაკმაყოფილდეს.

### **მუხლი 19.**

ადმინისტრაციის ფინანსური საქმიანობის დამოუკიდებელი აუდიტი ტარდება ყოველწლიურად, რომელიც ადმინისტრაციის საქმიანობის ანგარიშთან ერთად წარედგინება საქართველოს პარლამენტს და მთავრობას ყოველი მომდევნო წლის 15 აპრილამდე. ანგარიშიც და აუდიტური დასკვნაც, ისევე როგორც სხვა ნებისმიერი საჯარო ინფორმაცია ადმინისტრაციის საქმიანობაზე, ხელმისაწვდომია თითოეული დაინტერესებული მოქალაქისთვის.

**მუხლი 20.**

1. ამ კანონის მიღებასთან დაკავშირებით საქართველოს მთავრობამ 3 თვის ვადაში უზრუნველყოს ყველა საჭირო ღონისძიების გატარება ადმინისტრაციის საქმიანობის დაწყების უზრუნველსაყოფად, მათ შორის:
- ა) უზრუნველყოს მოქმედ კანონმდებლობაში ცვლილებათა პროექტების წარმოდგენა მათი ამ კანონის მოთხოვნებთან შესაბამისობაში მოყვანის მიზნით.
  - ბ) უზრუნველყოს ამ კანონის ამოქმედებისთვის საჭირო კანონქვემდებარე ნორმატიული აქტების გამოცემა.

**მუხლი 21**

საქართველოს მთავრობამ მომდევნო წლის სახელმწიფო ბიუჯეტის პროექტში გაითვალისწინოს მცირე ბიზნესის ადმინისტრაციის დაფინანსება.

**მუხლი 22**

ეს კანონი ამოქმედდეს 2010 წლის 1 იანვრიდან.

საქართველოს პრეზიდენტი

მიხეილ სააკაშვილი

თბილისი  
2009 წლის ----  
№ -----

## განმარტებითი ბარათი

“მცირე ბიზნესის შესახებ” საქართველოს ანონის პროექტი

### მცირე ბიზნესის განვითარება ევროპასა და აშშ-ში

მცირე და საშუალო საწარმოები (Small and Medium Size Enterprises - SME) დასაქმების უმთავრეს წყაროს წარმოადგენენ, რომელიც გამოირჩევა მზარდი დინამიკით და ახალი სამუშაო ადგილების მალალი გენერაციით. ამ მიზნით მცირე და საშუალო ბიზნესის ხელშეწყობა მრავალი ქვეყნის ეკონომიკური პოლიტიკის შემადგენელი ნაწილია, რომელიც მიზნად ისახავს მათ ფინანსურ მხარდაჭერას ქვეყნის მთავრობის, საერთაშორისო ორგანიზაციებისა და ფინანსური ინსტიტუტების მიერ, რაც აძლიერებს მათ განვითარების პოტენციალს, შიდადარგობრივ და დარგთაშორის კონკურენციას.

განვითარებული, ლიბერალური ეკონომიკის მქონე სახელმწიფოებში მცირე ბიზნესი ხასიათდება ორი ძალიან მნიშვნელოვანი პრინციპით, ესენია: ინოვაცია და რისკიანობა. ბევრი განვითარებული სახელმწიფო მცირე ბიზნესს უფრო მეტად განიხილავს, როგორც სოციალური დანიშნულების მქონედ და ნაკლებად თუ ანიჭებს მას ფისკალურ დატვირთვას. ყოველი ახალი სამუშაო ადგილი თავისთავად გულისმობს ნაკლებ უმუშევარს, ნაკლებ დოტაციას ფედერალური სახსრებიდან და თავისთავად დამატებით შექმნილ ღირებულებას, რაც საბოლოოდ სოციალური მდგრადობის საფუძველი ხდება.

აშშ-ს მცირე ბიზნესის ადმინისტრაციის მონაცემებით ბოლო სამ წელიწადში სახელმწიფოში შეიქმნა 7 მილიონი ახალი სამუშაო ადგილი, საიდანაც 2/3 მცირე ბიზნესზე მოდის. ეკონომიკის მიერ მცირე ბიზნესის აქტის საფუძველზე აღნიშნული ადმინისტრაციის ჩამოყალიბება მიზნად ისახავდა მცირე ბიზნესის კუთხით ამერიკის ეკონომიკის გაძლიერებას, მცირე საწარმოთა ზუსტ მონაცემთა ბაზის შექმნას, მცირე ბიზნესის პროექტებში მონაწილე საწარმოების სტანდარტის განსაზღვრას, რათა მიზნობრივად განაწილდეს ფედერალური სახსრები მცირე ბიზნესის განვითარების კუთხით. სწორედ ამიტომ მცირე ბიზნესის განვითარების ადმინისტრაცია მკაცრად აკონტროლებს მონაცემთა ბაზას, პერიოდულად მის გადახედვასა და განახლებას. 2003 წელს სააგენტომ მონაცემთა ბაზიდან ამოიღო 90 000 ფირმა, რომლებსაც ბოლო 18 თვის განმავლობაში არ ქონდათ განახლებული ინფორმაცია თავიანთ კომპანიაზე<sup>1</sup>. 1991-2000 ფისკალური წლების განმავლობაში SBA დაეხმარა თითქმის 423 ათას მცირე ბიზნესს რომ მიეღოთ 94.6 მილიარდ აშშ დოლარზე მეტი მოცულობის სესხი. არცერთი სხვა საფინანსო ინსტიტუტი ამერიკაში და ალბათ არც მსოფლიოში არ ყოფილა პასუხისმგებელი მცირე ბიზნესის ასეთი მოცულობით მხარდაჭერაზე. (უნდა აღინიშნოს, რომ ეს ათი წელი ის პერიოდია, როდესაც აშშ-ში მომძლავრებულია ნეო-ლიბერალური ეკონომიკური ტალღა ე.წ. «რეიგანომიკა»).

<sup>1</sup> US Small Business Administration. “Small Business Size Standards”. At: <http://www.sba.gov/services/contractingopportunities/sizestandardsttopics/index.html>, Retrieved on: 20.06.2008

«მხოლოდ გასულ წელს SBA მხარი დაუჭირა 12.3 მილიარდი აშშ დოლარის სესხების გაცემას მცირე ბიზნესზე»<sup>2</sup>.

გერმანიაში მცირე და საშუალო ბიზნესის (Mittelstand) მნიშვნელოვან როლს ასრულებს ეკონომიკის განვითარებაში. 2003 წლის მონაცემებით, ქვეყანაში ოპერირებდა 3.38 მილიონი ასეთი საწარმო, სადაც დასაქმებული იყო 19.98 მილიონი ადამიანი (ეგრძე სექტორში დასაქმებულთა 70 %-ზე მეტი). ქვეყანაში დამატებული ღირებულების გაანგარიშებებზე დაყრდნობით მათზე მოდის მთლიანი წლიური ბრუნვის 41.2 %.<sup>3</sup>

კვლევები ადასტურებს, რომ გერმანიაში მცირე და საშუალო ბიზნესი შრომის მაღალი ინტენსივობით ხასიათდება, ანუ მსხვილი კომპანიებისგან განსხვავებით, ისინი იყენებენ მეტ შრომას და ნაკლებ კაპიტალს. ასეთ პირობებში ინვესტირება ადამიანურ კაპიტალში დიდ მნიშვნელობას იძენს, რასაც შედეგად მოაქვს მოქალაქეთა მენეჯერული კვალიფიკაციის ამაღლება, უნარ-ჩვევებსა და შესაძლებლობებში სისტემატიური გადამზადება. ცოდნაზე დაფუძნებული ეკონომიკა პროფესიული განათლების განვითარებას მოითხოვს.

გერმანიაში მცირე და საშუალო ბიზნესს დიდი საექსპორტო პოტენციალი გააჩნიათ. ისეთი მცირე კომპანიებიც კი, რომელთა წლიური ბრუნვა 250-დან 500 ათასი ევროს ფარგლებშია, შესწევთ უნარი აწარმოონ საექსპორტო პროდუქცია და გავიდნენ საერთაშორისო ბაზრებზე, რაც თავის მხრივ ქვეყნის ეკონომიკაში დამატებითი შემოსავლების წყაროა.

დიდი ბრიტანეთი მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარების მხრივ წარმოადგენს თვალსაჩინო მაგალითს, სადაც 2006 წლის მონაცემებით ქვეყანაში არსებული 4,5 მილიონი ეგრძე ბიზნესიდან (რომელიც წინა წლის მაჩვენებელს 125 000 ერთეულით აღემატება) 99,3% მოდიოდა მცირე ბიზნესზე (0-49 დასაქმებული). ხოლო 27 000 ანუ 0,6% შეადგენდა საშუალო ბიზნესის საწარმოებს (50-249 დასაქმებული), 6000 ანუ 0,1% - დიდ საწარმოებს (250 და მეტი დასაქმებული).


2006 წლის დასაწყისში დიდ ბრიტანეთში ეგრძე კომპანიებში სულ დასაქმებული იყო 22,4 მილიონი ადამიანი, რომელთა საერთო ჯამურმა ბრუნვამ შეადგინა 2600 მილიარდი გირვანქა.

მცირე და საშუალო საწარმოებში საერთო ჯამში დასაქმებული იყო 58,9%, ხოლო ბრუნვამ შეადგინა 51,9%. ამ მაჩვენებლებით მხოლოდ მცირე ბიზნესში დასაქმებულთა რაოდენობა იყო 47,1%, ხოლო ბრუნვა 37,2% (იხილეთ დიაგრამა 1)<sup>4</sup>.

<sup>2</sup> Overview & History. <http://www.sba.gov/aboutsba/history/index.html> 19.11.2008

<sup>3</sup> SMEs in Germany – Facts and Figures – 2004. Brigitte Gunterberg und Gunter Kayser. IFM-MaterialienNr. 161

<sup>4</sup> Department for Business, Enterprise and Regulatory Reform. “Statistical Press Release”, URN 07/92, 22 August 2007. At: <http://www.dtistats.net/ed/sme/smestats2006-ukspr.pdf>, , Retrieved on: 20.06.2008



ზემოთაღნიშნული ნათლად ცხადყოფს თუ რა დიდი მნიშვნელობა აქვს მცირე ბიზნესს ბრიტანეთის ეკონომიკისთვის, როგორც დასაქმების უზრუნველყოფის, ასევე ფინანსური მაჩვენებლების თვალსაზრისით.

საერთაშორისო პრაქტიკა ადასტურებს, რომ მხოლოდ სახელმწიფოს მცრიდან სათანადო პოლიტიკის შემუშავებით და გატარებით ხერხდება მცირე ბიზნესში აკონსერვებული პოტენციალის ამოქმედება. სამუხაროდ საქართველოში არსებული პრაქტიკის მიხედვით დაახლოებით 20 პროცენტი შექმნილი საწარმოების ახერხებენ საქმიანობის შენარჩუნებას ბაზარზე და შესაბამისად განვითარებას. ხოლო, ბიზნესის განვითარების ცენტრების მხარდაჭერით შექმნილი საწარმოების დაახლოებით 85 პროცენტი ახერხებს ბაზარზე თავის დამყვიდრებას. სწორედ ასეთი ცენტრების მიერ ბიზნეს-განათლების ფორსირებას და ინფორმაციული რესურსების გაფარობა იკავებს ერთ-ერთ ცენტრალურ პოზიციას განვითარებულ სახელმწიფოთა ეკონომიკურ პოლიტიკაში მცირე ბიზნესთან დაკავშირებით.

## მცირე ბიზნესის დეფინიცია

იმისათვის, რომ მცირე და საშუალო საწარმოებმა მონაწილეობა მიიღონ გარკვეულ ეკონომიკურ პროექტებში, აუცილებლად უნდა შეესაბამებოდნენ შესაბამის სტანდარტებს – დასაქმებულთა ოდენობის, წლიური ბრუნვისა და ბალანსის მიხედვით, რათა არ მოხდეს ფინანსების არასწორი განაწილება სახელმწიფო ფონდებისა და ბანკების მიერ. მცირე და საშუალო საწარმოების დეფინიცია განსხვავდება ქვეყნების მიხედვით, რომელსაც განსაზღვრავს ქვეყნის მთავრობა, რეგიონულ-ეკონომიკური და საერთაშორისო ფინანსური ინსტიტუტები. მცირე და საშუალო ბიზნესის კლასიფიკაცია განსხვავდება ზემოთ მოცემული მაჩვენებლების ქვედა ზღვრის სიდიდის მიხედვით, რომელიც ინდივიდუალურია ქვეყნის რეალობიდან გამომდინარე.

მცირე ბიზნესის დეფინიციაზე, ასევე დიდი გავლენა იქონია ინტერნეტისა და ქსელური სერვისის განვითარებამ, რამაც მოახდინა მცირე ბიზნესიდან მიკრობიზნესისა და ზოგ შემთხვევაში როგორც მას უწოდებენ მცირე და სახლის ოფისის ბიზნესის გამოყოფა (Small Office and Home Office). სიდიდით ეს არის კომპანიები სადაც დასაქმებულია 1-10 ადამიანი, მაგრამ მიუხედავად მათი მცირე ზომისა რიგ შემთხვევებში ისინი გამოირჩევიან მაღალი კონკურენტუნარიანობით და საქმის წარმართვის მასშტაბურობით. აშშ-სა და ევროკავშირის ქვეყნებში, ეს კომპანიები წარმოადგენენ მომსახურების ვირტუალურ ოფისებს, რომლებიც მიმართულია პროფესიულ და იურიდიულ მომსახურებაზე, სატელეფონო კონსულტაციებზე, საქონლის რეალიზაციაზე, უძრავ ქონებასთან დაკავშირებულ ოპერაციებსა და ა.შ.

2003 წლის 6 მაისს, ევროკომისიამ მიიღო რეკომენდაცია (Recommendation 2003/361/EC) მიკრო, მცირე და საშუალო ბიზნესის განსაზღვრებასთან დაკავშირებით და იგი ძალაში შევიდა 2005 წლის 1 იანვრიდან. თავდაპირველად ევროკავშირში წარმოიშვა პრობლემები მცირე და საშუალო ბიზნესის განსაზღვრებასთან დაკავშირებით, რადგან ყველა ქვეყანა აწესებდა საკუთარ სტანდარტს არსებული რეალობიდან გამომდინარე, მაგალითად, ბელგიისათვის მცირე და საშუალო ბიზნესი შემოიფარგლებოდა საწარმოებით, სადაც დასაქმებულთა რაოდენობა არ აღემატებოდა 100 კაცს, მაშინ როდესაც გერმანიისათვის ეს მაჩვენებელი აღწევდა 500. ევროკომისიის რეკომენდაცია განსაზღვრული იყო იმისათვის, რომ ევროკავშირის წევრ ქვეყნებს შორის ჩამოყალიბებულიყო საწარმოთა დიფერენციაციის საერთო სტანდარტი, რათა გაუმჯობესებულიყო წევრი ქვეყნების მთავრობების, ევროპის საინვესტიციო ბანკის (European Investment Bank) და ევროპის საინვესტიციო ფონდის (European Investment Fund) პოლიტიკა მცირე და საშუალო საწარმოებთან მიმართებაში და შემცირებულიყო არაჯანსაღი კონკურენციის რისკი. ამისათვის ევროკომისიამ შეიმუშავა საწარმოთა შეფასების კრიტერიუმები, სადაც განისაზღვრა დასაქმებულთა რაოდენობა და საწარმოს ფინანსური შესაძლებლობები, გამოხატული წლიურ ბალანსსა და ბრუნვაში. ასეთი მიდგომით ევროკომისიამ უზრუნველყო საწარმოების ადამიანური და ფინანსური კრიტერიუმების კომპლექსური შეფასება, რომელიც ნათლად ასახავს ბიზნესის სიმდიდრეს და გამართულობას.

რეკომენდაციით მიკრო, მცირე და საშუალო საწარმოთა კატეგორია მიენიჭათ კომპანიებს, სადაც დასაქმებულთა რაოდენობა აღწევს 249-ს, წლიური ბრუნვა არ აღემატება 50 მილიონ ევროს, ხოლო წლიური ბალანსი 43 მილიონ ევროს.

მცირე საწარმოდ განისაზღვრა ის კომპანიები სადაც დასაქმებულია 50-მდე ადამიანი და რომლის წლიური ბრუნვა და ბალანსი არ აღემატება 10 მილიონ ევროს.

მიკრო საწარმოდ განისაზღვრა ის კომპანიები სადაც დასაქმებულია 10-მდე ადამიანი და რომლის წლიური ბრუნვა და ბალანსი არ აღემატება 2 მილიონ ევროს<sup>5</sup>.

საწარმოს ზომა	დასაქმებულთა რაოდენობა	ბრუნვა (ევრო/წელი)	ბალანსი (ევრო/წელი)
მიკრო	9	2 მილიონი	2 მილიონი
მცირე	10-49	2-10 მილიონი	2-10 მილიონი
საშუალო	50-249	10-50 მილიონი	10-43 მილიონი
მსხვილი	250 და მეტი	50 მილიონზე მეტი	43 მილიონზე მეტი

დიდ ბრიტანეთში მცირე და საშუალო საწარმოთა მაჩვენებლების დეფინიცია ეფუძნება განსხვავებულ კრიტერიუმებს, რომელიც უნდა აღინიშნოს, რომ არ არის უნივერსალურად მიჩნეული. დიდ ბრიტანეთში მცირე საწარმოებს მიეკუთვნება კომპანიები, რომელთა წლიური ბრუნვა და ბალანსი არ აღემატება შესაბამისად 5,6 და 2,8 მილიონ გირვანქას, ხოლო დასაქმებულთა რაოდენობა კი არის 50-ზე ნაკლები. საშუალო საწარმოები კი არის ისინი რომელთა ბრუნვა და ბალანსი შესაბამისად არ აღემატება 22,8 და 11,4 მილიონ გირვანქას, ხოლო დასაქმებულთა რაოდენობა კი არის 250-ზე ნაკლები. გარდა ამისა დიდ ბრიტანეთში არსებობს ბრიტანული ბანკების ასოციაციის (British Bankers Association) შეფასების საკუთარი კოდი, რომლის მიხედვითაც მცირე ბიზნესის საწარმოებად ითვლება ის ცალკეული კომპანიები, რომელთა ბრუნვა და შემოსავალი არ აღემატება 1 მილიონ გირვანქას. კონცერნის განაცხადის შემთხვევაში ბრუნვა განისაზღვრება არა ცალკეული კომპანიების მიხედვით, არამედ ამ კონცერნში შემავალი კომპანიების ბრუნვების ჯამით.

აშშ-ში მცირე და საშუალო საწარმოების დეფინიცია უფრო რთული და კომპლექსური მეთოდებით ხდება ვიდრე ევროკავშირის წევრ ქვეყნებში, რომელსაც არეგულირებს მცირე ბიზნესის ადმინისტრაციის სტანდარტების სამსახური (Small Business Administration (SBA) Size Standards Office). მცირე ბიზნესის აქტის (Small Business Act) მიხედვით ბიზნესი უნდა იყოს დამოუკიდებელ მფლობელობაში და არ უნდა დომინირებდეს საკუთარ დარგში. მისი დიფერენცირება ხდება კონკრეტული დარგების საწარმოების ინდივიდუალური შეფასებით, რათა ზუსტად ასახავდეს დარგის საწარმოს სიდიდეს. მცირე ბიზნესის ადმინისტრაციას შემუშავებული აქვს „სტანდარტის ზომის“ (Size Standard) ცხრილი, რომელიც შეესაბამება ჩრდილო ამერიკის საწარმოთა კლასიფიკაციის სისტემას (North American Industry Classification System). „სტანდარტის ზომის“ მიხედვით მცირე საწარმოს განეკუთვნება კომპანიები, რომლებიც თავისი დარგიდან გამომდინარე არ აჭარბებენ საწარმოს სტანდარტის ზომას და წარმოადგენენ აშშ-ში დარგის რეგულირებულ კომერციულ სუბიექტებს, რომლებსაც მნიშვნელოვანი წვლილი შეაქვთ აშშ-ს ეკონომიკაში გადასახადების გადახდით და ამერიკული საქონლის, მასალებისა და სამუშაო ძალის გამოყენებით. | ცხრილში მოცემულია მცირე საწარმოს „სტანდარტის ზომა“ სხვადასხვა დარგების

<sup>5</sup> Commission of the European Communities. “Commission Recommendation of 06/05/2003 concerning the definition of micro, small and medium-size enterprises”, Brussels, 06/05/2003 C(2003) 1422 final. At: [http://ec.europa.eu/enterprise/enterprise\\_policy/sme\\_definition/decision\\_sme\\_en.pdf](http://ec.europa.eu/enterprise/enterprise_policy/sme_definition/decision_sme_en.pdf), Retrieved on: 20.06.087

მიხედვით. აქვე უნდა აღინიშნოს ის ფაქტიც, რომ აშშ-ში კომპანიების მხოლოდ 1/4 აქვს განსხვავებული სტანდარტი, სადაც საწარმოების წლიური შემოსავალი მერყეობს 0,75-32,5 მილიონ აშშ დოლარის ფარგლებში, ხოლო დასაქმებულთა რაოდენობა კი სტანდარტის მიხედვით შეადგენს 100-1500 ადამიანს.

## I ცხრილი

საწარმოთა ჯგუფი	სტანდარტის ზომა
გადამამუშავებელი საწარმო	500 ადამიანი
საბითუმო ვაჭრობა	100 ადამიანი
სოფლის მეურნეობა	750 000 აშშ დოლარი
საცალო ვაჭრობა	6,5 მილ. აშშ დოლარი
მშენებლობა, კონსტრუქცია (მიწის ამოღების გარეშე)	31 მილ. აშშ დოლარი
მიწის ამოღება	18,5 მილ. აშშ დოლარი
სპეციალური სავაჭრო კონტრაქტები	13 მილ. აშშ დოლარი (საკომისიო და სხვა შემოსავლები)
ტურისტული სააგენტოები	3,5 მილ. აშშ დოლარი
ბიზნეს და პერსონალური მომსახურება	6,5 მილ. აშშ დოლარი
არქიტექტურული, საინჟინრო, კვლევითი და ტოპოგრაფიული მომსახურება	4,5 მილ. აშშ დოლარი
მშრალი წმენდისა და ხალიჩების წმენდის სერვისი	4,5 მილ. აშშ დოლარი

გერმანიაში მცირე და საშუალო ბიზნესის (Mittelstand) დეფინიციისთვის დიდი ხნის განმავლობაში მსჯელობდნენ და იხილავდნენ ისეთ ინდიკატორებს, როგორიცაა მოგება, ფიქსირებული აქტივები, ბალანსი, წლის განმავლობაში შექმნილი დამატებული ღირებულება, დასაქმებულთა რაოდენობა და წლიური ბრუნვა. თუმცა, საჯარო გამოყენებისთვის გერმანია უკვე გადავიდა ევროკავშირის მიერ შემუშავებულ სტანდარტებზე, რაზე ზემოთ გვკონდა საუბარი.

## მცირე ბიზნესის მხარდაჭერა საქართველოში

საქართველოში მცირე და საშუალო საწარმოთა დეფინიცია და მისდამი სახელმწიფოს ეკონომიკური პოლიტიკა რეგულირდებოდა 1999 წელს მიღებული კანონით – „მცირე და საშუალო საწარმოთა მხარდაჭერის შესახებ“, რომელიც გაუქმდა 2006 წელს საქართველოს პარლამენტის მიერ. კანონი „მცირე და საშუალო საწარმოთა მხარდაჭერის შესახებ“ იძლეოდა მარტივ დეფინიციას, რომლის მიხედვითაც მცირე საწარმოდ ითვლებოდა ბიზნესი, რომელიც ითვლიდა არაუმეტეს 20 დასაქმებულს და რომლის წლიური ბრუნვა შეადგენდა 500 ათას ლარს, ხოლო საშუალო საწარმოდ კი ითვლებოდა ის კომპანიები, სადაც დასაქმებულთა რაოდენობა არ აღემატებოდა 100 და წლიური ბრუნვა 1500 ათას ლარს. აღნიშნული დეფინიციები მექანიკურად გადატანილია «საინვესტიციო სააგენტოს შესახებ» საქართველოს კანონში. სამწუხაროდ მხოლოდ ასეთი დეფინიციის სხვა თანმხლები მექანიზმების არარსებობის შემთხვევაში ზედაპირულია და ვერ ჰასუხობს მცირე ბიზნესის განვითარების გამოწვევებს.

არც ძველი კანონის გაუქმება და არც სხვა კანონში დეფინიციების გადატანა არ არის მცირე ბიზნესის განვითარების ხელშემწყობი გადაწყვეტილებები. მცირე ბიზნესის ლობისტური სახელმწიფო ინსტიტუტის არსებობა, როგორც ძლიერი ორგანიზაცია დამოუკიდებლობის მაღალი ხარისხით, აუცილებელია ამ სფეროს სამომავლო განვითარებისათვის. დღეისთვის სახელმწიფოში არ არსებობს ასეთი ინსტიტუტი, რომელიც ძალისხმევას მიმართავდა მხოლოდ მცირე ბიზნესის განვითარებაზე, საწარმოთა მონაცემთა ბაზის უზრუნველყოფასა და განახლებაზე, სერტიფიცირებას მათი მცირე საწარმოთა ხელშემწყობ პროგრამებში ჩართულობის მიზნით.

მიუხედავად ამისა, მცირე ბიზნესის ხელშეწყობა და განვითარება საქართველოს მთავრობის დეკლარირებულ პრიორიტეტს წარმოადგენს, რომელიც შემოიფარგლება უცხო ქვეყნების მიერ გამოყოფილი დახმარებებით, ცალკეული სამინისტროებისა და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების მიერ შემუშავებული პროგრამებითა და კომერციული ბანკების კრედიტებით (უკანასკნელ პერიოდში კომერციული ფინანსური ინსტიტუტებიდან თითქმის შეუძლებელია ბიზნეს პროექტების დასაფინანსებლად საკრედიტო რესურსის მოპოვება), რომელიც არ ატარებს სისტემურ ხასიათს და არ გამოიჩენს გამჭვირვალობით.

ევროპის სამეზობლო პოლიტიკის სამოქმედო გეგმაში გაცხადებულია:

- *სამწარმოო პოლიტიკა*: მცირე და საშუალო საწარმოებისათვის ხელსაყრელი გარემოს შექმნა, “პარტნიორობისა და თანამშრომლობის შესახებ შეთანხმების” 64-ე მუხლის შესაბამისად, საქართველოს სამწარმოო პოლიტიკის პრიორიტეტების გათვალისწინებით;

ხოლო, ევროკავშირთან პარტნიორობისა და თანამშრომლობის შესახებ შეთანხმების 64-ე მუხლი კი ამბობს:

### “მუხლი 64

#### მცირე და საშუალო საწარმოები

- 1. მხარეები მიზნად ისახავნ განავითარონ და გააძლიერონ მცირე და საშუალო საწარმოები და მათი გაერთიანებები, აგრეთვე თანამშრომლობა გაერთიანებისა და საქართველოს მცირე და საშუალო საწარმოებს შორის.

- 2. თანამშრომლობა ითვალისწინებს ტექნიკურ დახმარებას, განსაკუთრებით შემდეგ სფეროებში:
- მცირე და საშუალო საწარმოების სამართლებრივი ბაზის განვითარება;
- შესაბამისი ინფრასტრუქტურების განვითარება (მცირე და საშუალო საწარმოებისათვის დამხმარე სააგენტოს შექმნა, კომუნიკაციები, დახმარება მცირე და საშუალო საწარმოების ფონდის შესაქმნელად);
- ტექნოლოგიური ჰარკების განვითარება.”

აღნიშნულს ემატება აღმოსავლეთ პარტნიორობის ინიციატივაში საქართველოს ჩართვასთან დაკავშირებით პრეზიდენტის დონეზე გაფორმებული «პრალის დეკლარაცია», სადაც ასევე საუბარია მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარებაზე და ეს ყველაფერი დაკავშირებულია ევროპის კავშირთან თავისუფალი ვაჭრობის შესახებ შეთანხმების გაფორმების შესაძლებლობებთან. ამდენად, მცირე და საშუალო ბიზნესის ადეკვატური მხარდაჭერა საქართველოს სახელმწიფოს სამართლებრივადაც აქვს აღიარებული ევროპის წინაშე.

დღეისათვის ერთიანი სახელმწიფო პოლიტიკა მცირე ბიზნესის განვითარების მხრივ არ მუშავდება. სახელმწიფო დონეზე საწარმოთა განვითარების მხრივ ჩართული არან ეკონომიკური განვითარებისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროები. ეკონომიკური განვითარების სამინისტრო ახორციელებს იაფი სესხების პროგრამას, ხოლო სოფლის მეურნეობის სამინისტრო 100 ახალი სასოფლო-სამეურნეო საწარმოს შექმნის პროგრამას. ორივე პროგრამა მიზნად ისახავს საწარმოთა შექმნასა და განვითარებას. ზემოთ ხსენებული პროგრამები თავისი შინაარსით დადებით შეფასებას იმსახურებს, მაგრამ ჩნდება კითხვები თუ რამდენად გამჭვირვალედ ხორციელდება ისინი. ამასთანავე მთავრობას უნდა ჩამოეყალიბებინა პირობები და შეერჩია საკრედიტო ინსტიტუცია, რომელზედაც მოახდენდა საკუთარი უფლება-მოვალეობების დელეგირებას და დაუნესებდა კრედიტის გაცემის მოთხოვნას, რადგან მთავრობა არ არის კრედიტის გამცემი ინსტიტუტი. 2009 წელს უკვე გამოცხადდა ტენდერი კომერციული ბანკების შესარჩევად იაფი კრედიტის ფარგლებში რესურსების განაწილებაზე, თუმცა ბანკების მხრიდან საკმაოდ აბალი აქტივობა კიდევ ბევრ კითხვებს ბადებს. ასევე ხშირად შეუძლებელი იყო გამოიჭნა, რომელი პროექტის დაფინანსება მოხდა იაფი კრედიტის ფორმატში და რომელი მიეკუთვნება 100 ახალი სასოფლო-სამეურნეო საწარმოს შექმნის პროგრამას, რაც იწვევს არა ცალკეული, არამედ ერთიანი პროგრამის ასოციაციას.

მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარების კუთხით ქვეყანაში ყველაზე წარმატებულ პროექტად შეიძლება ჩაითვალოს, აშშ-ს ათასწლეულის გამოწვევის ფონდის აგრობიზნესის განვითარების პროექტი, რომელიც ორიენტირებულია სოფლის მეურნეობის დარგში მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარებაზე. პროექტი მიზნად ისახავს მცენარეული და ცხოველური საკვები პროდუქტების წარმოებას, ფერმერთა საკონსულტაციო ცენტრებისა და სოფლის მეურნეობის გადამამუშავებელი საწარმოების შექმნას. პროექტის საერთო მოცულობა შეადგენს 15 მილიონ აშშ დოლარს, რომლის ხანგრძლივობაა 4 წელი. აგრობიზნესის განვითარების პროგრამის ფარგლებში წამოწყებული 88 პროექტისათვის ფონდის მიერ გაიცა 2,7 მილიონი აშშ დოლარზე მეტი, ამასთანავე ადგილობრივი პარტნიორების თანადაფინანსებით მოხდა 4,5 მილიონ აშშ დოლარზე მეტი ინვესტიციის მოზიდვა, რაც ითვალისწინებს 1000

მუდმივი ახალი სამუშაო ადგილის შექმნას და 25 000-ზე მეტი სანარმოსა და ინდივიდის ჩართვას<sup>6</sup>.

ამდენად, საქართველოში აუცილებელი ხდება ყველა მიმართულების, რომელიც მცირე ბიზნესის განვითარებას ეხება, სისტემატიზაცია. მცირე ბიზნესის ახალი კანონმდებლობა მიზნად ისახავს ნაციონალურ და რეგიონულ დონეზე ეკონომიკური პროგრამების მიზნობრივად წარმართვას და მონაცემთა ზუსტი ბაზის უზრუნველყოფას. იგი საშუალებას იძლევა დადგინდეს თუ როგორია სხვადასხვა პარამეტრების მქონე სანარმოს ხვედრითი წილი ქვეყნის ეკონომიკაში. როგორც ბრიტანეთის რეალობიდან დავინახეთ ქვეყანაში სანარმოთა 99 პროცენტი მოდის მცირე და საშუალო ბიზნესზე, სადაც დასაქმებულია მოსახლეობის 50 პროცენტამდე. მხედველობაშია მისაღები ის ფაქტი, რომ მცირე ბიზნესი გამოირჩევა ბაზარზე ადვილად შეღწევადობით, რაც ნიშნავს იმას, რომ ამ კატეგორიის ბიზნეს სუბიექტები გამოირჩევიან სამუშაო ადგილების შექმნის მაღალი გენერაციით.

საქართველოს პარლამენტის მიერ 2006 წელს გაუქმებული კანონი “მცირე და საშუალო სანარმოთა მხარდაჭერის შესახებ”, მართლაც საჭიროებდა ძირულ გადახედვასა და ფუნდამენტურ შეცვლას, რადგან სათანადოდ არ იყო მოცემული სანარმოთა დეფინიცია და კითხვებს ბადებდა “მცირე სანარმოთა განვითარების ცენტრის” სტრუქტურა და ფუნქციები. მაგრამ ამ კანონის გაუქმებამ წარმოშვა დამატებითი პრობლემები, რამაც კიდევ უფრო დაამძიმა არსებული ეკონომიკური მდგომარეობა.

<sup>6</sup> აგრობიზნესის განვითარების პროექტი. მოცემულია: [http://ada.ge/index.php?lang\\_id=GEO&sec\\_id=12](http://ada.ge/index.php?lang_id=GEO&sec_id=12), 20.06.08

## ჯანმრთელობის დაცვისათვის

ქვეყანას, რომელიც იმყოფება გარდამავალი ეკონომიკის ეტაპზე, აუცილებელია უნდა ქონდეს საერთო სახელმწიფო პოლიტიკა, რომელიც მიმართული იქნება ბიზნესის განვითარებისაკენ. მცირე ბიზნესი ბაზარზე ადვილად შეღწევადობის გამო შესაძლებელია ჩაითვალოს პრიორიტეტულ მიმართულებად, მაგრამ ეს პრიორიტეტულობა არ უნდა გადაიზარდოს ისეთ მანკიერ ტენდენციებში, რამაც შესაძლებელია დანერგოს დამატებითი შეღავათების მიღების მოტივაციით მსხვილ საწარმოთა დაშლის პრაქტიკა. აუცილებელია ეკონომიკური გარემოს შენარჩუნებისთვის სწორად გააზრებული ნაბიჯების გადადგმა.

მიუხედავად ამისა, ქვეყანას ჭირდება ჯანონმდებლობა, რომელიც დაარეგულირებს მცირე ბიზნესის საქმიანობის საკითხებს. ეს ქვეყანას დაეხმარება, რომ თითოეული დარგისათვის განისაზღვროს საწარმოთა სიმძლავრე, რომ მას გააჩნდეს საერთო ეკონომიკური სურათი მათი წლიური ბრუნვის, ბალანსისა და დასაქმებულთა რაოდენობის მხრივ. მნიშვნელოვანია დადგინდეს, თუ რა სიმძლავრის საწარმოები გამოირჩევა სამუშაო ადგილების შექმნის მაღალი ტენდენციით და რაც მთავარია სამართლიანად მოხდეს სხვადასხვა ეკონომიკურ პროგრამებში საწარმოთა შერჩევა მიზნობრივი ჯგუფების მიხედვით.

ყოველივე ეს კი უნდა ხორციელდებოდეს სახელმწიფოს მიერ შემუშავებულ სამართლებრივ ფორმატში, რადგან ძნელია მოთხოვო ეომერციულ ორგანიზაციებს ყრედიტების სამართლიანი გადანაწილება მიზნობრივი ჯგუფების მიხედვით, მაშინაც კი როდესაც ის წარმოადგენს ქვეყნისათვის ტრადიციულ და მნიშვნელოვან დარგს და არ გამოირჩევა მაღალი რენტაბელობით.

წარმოდგენილი ჯანონის პროექტი ეხება საქართველოში მცირე ბიზნესის დაფუძნებისა და განვითარების ხელშეწყობის პრინციპებს. იგი აყალიბებს ეკონომიკურ პირობებს, მექანიზმებსა და საშუალებებს, რითაც სახელმწიფოს შეუძლია მხარი დაუჭიროს ქვეყანაში მნიშვნელოვანი სოციალური და ეკონომიკური დანიშნულების პროცესის განვითარებას. სიღარიბის დონის შემცირება, უმუშევრობასთან დაკავშირებული სირთულეების დაძლევა, სოციალური მდგომარეობის გაუმჯობესება და ეკონომიკის განვითარება დიდწილად არის დამოკიდებული მცირე ბიზნესის პოტენციალის მაქსიმალურად გამოყენებაზე.

პროექტი ითვალისწინებს საჯარო სამართლის იურიდიული პირის – მცირე ბიზნესის ადმინისტრაციის შექმნას, რომლის მისიაც იქნება მცირე ბიზნესისა და მეწარმეობის განვითარების ხელშეწყობა სახელმწიფო, კერძო თუ საერთაშორისო ინსტიტუტების მიერ მხარდაჭერილი პროგრამების საფუძველზე.

ადმინისტრაცია შეიმუშავებს ყოველწლიურ პროგრამას, რომელსაც საქართველოს მთავრობასთან შეთანხმების შემდეგ დაამტკიცებს საქართველოს პარლამენტი. პროგრამა შესაძლებელია ითვალისწინებდეს:

- საგარანტიო წერილების გაცემა ან ფინანსური საშუალებების გამოყოფას მცირე ბიზნესის დაყრედიტების მიზნით შეამავალი ორგანიზაციების მეშვეობით, დამწყები და ასევე არსებული საწარმოების გასავითარებლად;
- ტრენინგებისა და სწავლებების ორგანიზებას მცირე ბიზნესში დასაქმებული მოქალაქეებისათვის მათი მენეჯერული კვალიფიკაციის ამაღლებისა და გადაამზადების მიზნით, მარკეტინგული სტრატეგიების დამუშავებაზე, ბიზნეს

გეგმების შედგენაზე, კომერციულ ბანკებთან და სახელმწიფო ინსტიტუტებთან ურთიერთობების საკითხებზე. სასწავლო პროგრამების მიზანია ბაზრის მოთხოვნებთან სწარმოთა ადაპტაციის ხელშეწყობა;

- თითოეული მეურნე სუბიექტისათვის საინფორმაციო და საკონსულტაციო მომსახურების გაწევა სხვადასხვა რელევანტური საკითხების შესახებ;
- რეგულარული ანალიტიკური კვლევების ორგანიზებას მცირე ბიზნესის სფეროში არსებულ მდგომარეობასა და დინამიკაზე სამომავლო რეკომენდაციებისათვის ბაზისის შექმნის მიზნით; გარდა ამისა ადმინისტრაცია შეიმუშავებს შესაბამის რეკომენდაციებსა და წინადადებებს საქართველოში მცირე ბიზნესის დაფუძნებისა და ოპერირებისთვის მაქსიმალურად გამარტივებული სისტემის შესაქმნელად.

მაშინ როდესაც ძალზედ გართულებულია საქართველოს კომერციული ბანკებიდან იაფი სესხის მიღება ბიზნესის განვითარებისათვის და პრაქტიკულად შეუძლებელი მის დასაწყებად, აღნიშნული წინადადება მოახდენს რადიკალურ გარდატეხას ეკონომიკის განვითარების ამ ეტაპზე.

### ჯანონჯროუქბის მიღების მიზანი

უკანასკნელ პერიოდში მსოფლიო ეკონომიკაში, და განსაკუთრებით კი ტრანსფორმაციული ეკონომიკის ქვეყნებში მიმდინარე პროცესებმა ნათლად დაადასტურეს, რომ მცირე ბიზნესი მიეკუთვნება ეკონომიკური აქტივობის ყველაზე მობილურ სეგმენტს და იგი მნიშვნელოვანი ფაქტორია როგორც სიღარიბის დაძლევის, ისე განსაკუთრებით ახალი სამუშაო ადგილების შექმნის თვალსაზრისით, რადგან არ მოითხოვს მნიშვნელოვან კაპიტალდაბანდებას. სამწუხაროდ, საქართველოში ამ სფეროს მარეგულირებელი საკანონმდებლო გარემო არ არსებობს, განსხვავებით დასავლური სახელმწიფოებისაგან. ამდენად, მნიშვნელოვანია, რომ შეიქმნას ასეთი მარეგულირებელი აქტების კრებული, რომლის ხერხემალი, სწორედ მცირე ბიზნესის შესახებ ჯანონი უნდა გახდეს.

### ჯანონჯროუქბის მიზანი

ჯანონი ემსახურება, ბაზარზე თავისუფალი შეღწევის და თავისუფალი კონკურენციის პრინციპების დაცვით, ქვეყანაში მცირე ბიზნესის განვითარებას იმ მიზნით, რომ ხელი შეეწყოს დასაქმებას ახალი სამუშაო ადგილების შექმნით; გაიზარდოს მცირე სწარმოთა საექსპორტო პოტენციალი; ამდენად მცირე მეწარმეთა კონკურენტუნარიანობა იმპორტთან მიმართებით; გაუმჯობესდეს მცირე მეწარმეთა მიერ შექმნილი პროდუქციისა და მომსახურების ხარისხი, რათა მათ შეძლონ საერთაშორისო ბაზრებზე გასვლა; მცირე მეწარმეები აქტიურად ჩაერთონ სახელმწიფო შესყიდვებისა და პრივატიზაციის პროცესში; მცირე მეწარმეთა ინტერესები იყოს სათანადო დონეზე დაცული სახელმწიფოს მიერ ორმხრივი თუ მრავალმხრივი საერთაშორისო ხელშეკრულებების შედგენისას, განსაკუთრებით ვაჭრობის სფეროში; ხელი შეეწყოს საქართველოს ეკონომიკის განვითარებას და შესაბამისად ქვეყნის ეკონომიკური უსაფრთხოების უზრუნველყოფას მცირე ბიზნესის პოტენციალის მაქსიმალური ამოქმედებით.

## ჯანონჯროეჯბის ძირითადი არსი

ჯანონჯროეჯტი განსაზღვრავს მცირე ბიზნესის დეფინიციას, რომლის თანახმადაც მცირე ბიზნესი არის ეკონომიკური საქმიანობა, რომელიც ხორციელდება მცირე ან მიკრო საწარმოს მიერ; განსაზღვრულია აგრეთვე მცირე საწარმოც, როგორც “მწარმეთა შესახებ” საქართველოს ჯანონის საფუძველზე შექმნილი ორგანიზაცია, (გარდა სააქციო საზოგადოებისა) რომლის ბრუნვა ჯალენდარული წლის განმავლობაში არ აღემატება 2 მილიონ ლარს. ამასთან ჯანონი მკვეთრად აყალიბებს იმ სფეროებს, რომლებზეც არ ვრცელდება ამ ჯანონით განსაზღვრული წესები, კერძოდ ასეთი ტიპის საწარმო არ უნდა ეწეოდეს საბანკო, სადაზღვევო და სხვა სახის ფინანსურ, საადვოკატო მომსახურებას და არ უნდა აწარმოებდეს აქციურ საქონელს, არ უნდა ეწეოდეს ლატარიების ორგანიზებას და მოღვაწეობდეს სათამაშო ბიზნესის სფეროში. ამასთან საწესდებო ჯაპიტალში წილს არ უნდა ფლობდეს პირი, რომელიც არ აჟამყოფილებს მცირე საწარმოსთვის ამ ჯანონით დადგენილ სტანდარტებს.

ამასთან ჯანონჯროეჯტი ითვალისწინებს მცირე ბიზნესის ადმინისტრაციის შექმნას, რომელიც არის საქართველოს ჯანონმდებლობის მიხედვით შექმნილი საჯარო სამართლის იურიდიული პირი, იგი ფლობს სახელმწიფო ქონებას, მოქმედებს როგორც საჯარო, ისე საერთაშორისო დაფინანსებით და კერძო შემოწირულობებით. მისი საქმიანობის კონტროლს ახორციელებს საქართველოს მთავრობა. მას გააჩნია ცენტრალური და რეგიონული ოფისები. რეგიონალური ოფისები იქმნება, როგორც ადმინისტრაციის წარმომადგენლობები მოცემულ ტერიტორიულ ერთეულებში, სახელწოდებით “მცირე ბიზნესის განვითარების ცენტრები”.

ადმინისტრაციის ხელმძღვანელი ორგანოა მმართველი საბჭო (შემდგომში საბჭო), რომელიც შედგება 7 წევრისაგან. საბჭოს წევრთა შემადგენლობას 4 წლის ვადით ამტკიცებს საქართველოს პარლამენტი, რომელთაგან: 2 წევრს წარადგენს საქართველოს პრეზიდენტი, 2 წევრს წარადგენს საქართველოს მთავრობა, 1 წევრს საქართველოს ეროვნული ბანკი, 1 წევრს პარლამენტის საფინანსო საბიუჯეტო კომიტეტი და 1 წევრს პარლამენტის ეკონომიკური პოლიტიკისა და დარგობრივი ეკონომიკის კომიტეტი. 10 დღის ვადაში საქართველოს პარლამენტი დამსწრეთა უმრავლესობით, მაგრამ არა ნაკლებ სიითი შემადგენლობის 1/3-ის თანხმობით, ამტკიცებს საბჭოს შემადგენლობას.

საბჭო თავის შემადგენლობიდან 4 წლის ვადით ირჩევს ადმინისტრაციის უფროსს (შემდგომში ადმინისტრატორი), რომელიც საერთო კოორდინაციას უწევს ადმინისტრაციის საქმიანობის ორგანიზაციულ, საკადრო და სხვა საკითხებს. იგი უნდა იყოს საზოგადოებაში მაღალი რეპუტაციის მქონე, მაღალი ჯვალთფიკაციის მქონე პირი, რომელიც ჯარგად ფლობს ინფორმაციას მცირე ბიზნესის სფეროში საერთაშორისო გამოცდილებაზე, ქვეყანაში არსებულ მდგომარეობაზე, მცირე ბიზნესის საჭიროებებსა და პრობლემებზე.

განსაზღვრულია ადმინისტრაციის ფუნქციები. პროექტის თანახმად ადმინისტრაციის ფუნქციებია: მცირე ბიზნესის მხარდამჭერი პოლიტიკის შემუშავება, დამტკიცებული პროგრამებით გათვალისწინებული ღონისძიებების განხორციელება და

კოორდინაცია; ყოველკვარტალური და წლიური ანგარიშების მომზადება და გამოქვეყნება.

კანონპროექტით განსაზღვრულია მცირე ბიზნესის მხარდაჭერის ფორმები, როგორცაა ფინანსური სახსრების მოზიდვა, სესხების (მიკრო სესხების) გასაცემად ბიზნესის დაწესებისა და განვითარებისათვის საშუაშალო კომერციული ბანკების და მიკროსაფინანსო ორგანიზაციების მეშვეობით; მცირე ბიზნესის წარმომდგენლებისათვის საინფორმაციო საკონსულტაციო მომსახურების განწევა; მენეჯერული კვალიფიკაციის ამაღლებისა და გადამზადების, ბიზნეს-გეგმების შედგენის, მარკეტინგული სტრატეგიების შემუშავების შესახებ ტრენინგების, სწავლებებისა და სემინარების მოწყობა მცირე ბიზნესში დასაქმებული პირებისათვის; მცირე ბიზნესის ოპერირებისათვის საჭირო ინფრასტრუქტურის განვითარება.

მცირე ბიზნესის მხარდასაჭერი ფინანსები შედგება დამტკიცებული სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში გამოყოფილი საბიუჯეტო სახსრებისაგან; ფიზიკური და იურიდიული პირების, ასევე საერთაშორისო ორგანიზაციების მიერ გამოყოფილი გრანტებისა და შემოწირულობებისაგან და კანონმდებლობით ნებადართული სხვა შემოსავლებისაგან. განსაზღვრულია, რომ ბიუჯეტის კანონით დამტკიცებული მთლიანი ხარჯების 2 პროცენტი მიიძღვება მცირე ბიზნესის ადმინისტრაციის საქმიანობის დასაფინანსებლად, რაც აისახება სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ ყოველწლიურ კანონში. თუმცა ეს არ ზღუდავს უფრო მეტი სახსრების გამოყოფას.

მოზიდული ფინანსური სახსრების განთავსება კერძო საწარმოებში ხორციელდება შუამავალი კომერციული ბანკების და მიკროსაფინანსო ორგანიზაციების მეშვეობით, მცირე საწარმოების მიერ შემუშავებული ბიზნეს გეგმების საფუძველზე; ადმინისტრაცია მცირე ბიზნესის მხარდასაჭერად მოზიდული სახსრების კომერციულ ბანკებში განთავსების მიზნით აცხადებს ტენდერს “სახელმწიფო შესყიდვების შესახებ” საქართველოს კანონის შესაბამისად. ტენდერში მონაწილე სუბიექტებიდან იგი შეარჩევს 3 საუკეთესო წინადადებას, რომელთაგან პირველს გადაეცემა სახსრების 50 პროცენტი, ხოლო მეორესა და მესამეს 30 და 20 პროცენტის ოდენობით შესაბამისად. აღნიშნული ასიგნებების სულ მცირე 30 პროცენტი მიიძღვება დამწყები საწარმოების დასაფინანსებლად, თუ ასეთი განაცხადები იქნება წარმოდგენილი;

### **კანონპროექტის მიღებასთან დაკავშირებით აუცილებელი ხარჯების დაფინანსების წყარო**

კანონპროექტის მიღება არ იწვევს დამატებით ხარჯებს 2009 წლის სახელმწიფო ბიუჯეტიდან.

### **კანონპროექტის გავლენა ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილზე**

კანონპროექტი არ ახდენს გავლენას ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილზე, თუ არ გავითვალისწინებთ კანონის მიღებით წახალისებულ ბიზნეს აქტივობებს და შედეგად სახელმწიფო ბიუჯეტში შესულ სახსრებს უკვე მოქმედი გადასახადების ფარგლებში.

### **კანონპროექტის გავლენა ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილზე**

კანონპროექტი არ ახდენს გავლენას 2009 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ კანონის ხარჯვით ნაწილზე, რადგან კანონპროექტის ამოქმედება გათვალისწინებულია 2010 წლის 1 იანვრიდან. გასაწევი ხარჯების მოცულობა უნდა განისაზღვროს 2010 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ კანონპროექტში მთავრობის გადაწყვეტილებით.

